ჯ ა მ რ უ ლ ი

ვის გლოვობს ფუნჩათ ჯამრული,
რა თავი დაუღუნია?
ძმა ხომ მთელი ჰყავს, იმედა,
შვიდ წელს ტყვედ დაკარგულია?
ან ძმისწულები - ფოცხვერა,
სამტროდ ნაქები ბუთლია?
ანაც ძმობილი ჯიხვია,
ბახტრიონს გადასულია?
იქნებ თათრებმა დაჩაგრეს,
დააგმობინეს რჯულია?..
ხმალი ხომ აქვის ისევა
ღარებზედ დაწარბულია?
ლეკისეული ხირიმი
ლამაზად გამართულია?
ცხვარი ხომ არ უზარალდა,
შიგ დამწვარ-დადაგულია?..
ან სხვა ხომ არა აჯავრებს,
სრულ ძმად მიაჩნავ დუნია?
დ რასაც შენ მკითხავ, ჯამრული
იმით ყველაით სრულია;
სხვა რამ აწუხებს ვაჟკაცსა,
სხვად აქვს დამწვარი გულია:
ერთს ბეზირგანსა დიაცსა, დ
იმის სახელიმც კრულია,
არ გაჰყოლია ცოლადა, დ
ვაჟკაცი დაუწუნია...
ამას თაკილობს ჯამრული,
თავი მით დაუღუნია.

1895 წ.